უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების პრობლემები საქართველოში

ანზორ დევაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ANZOR DEVADZE,
PhD in Economics Professor of Batumi Shota Rustaveli State University

სულხან დევაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

SULKHAN DEVADZE,
Batumi Shota Rustaveli State University Doctoral Student

ანოტაცია

საქართველოს, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ეკონომიკური რეფორმების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები და ეკონომიკის ეფექტურობის ამაღლება.

უცხოური ინვესტიციები არსებით ზეგავლენას მოახდენს ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებაზე – რეალურად გააუმჯობესებს საქართველოს ეკონომიკის დეფორმირებულ სტრუქტურას, შექმნის მაღალტექნოლოგიურ საწარმოებს, მოახდენს ძირითადი ფონდების მოდერნიზებას და ტექნიკურად გადააიარაღებს მრავალ საწარმოს, აქტიურად გამოიყენებს ქვეყნის კვალიფიციური სპეციალისტების პოტენციალს და სამუშაო ძალას, დანერგავს ინოვაციებსა და მოწინავე გამოცდილებას მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროებში, შეავსებს ადგილობრივ ბაზარს ხარისხიანი სამამულო პროდუქციით და ა.შ.

ინვესტიციები დღეისთვის წარმოადგენენ ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლისა და გაჭიანურებული დეპრესიიდან ეკონომიკური აღორძინებისკენ გადასვლის ერთ-ერთ რეალურ ბერკეტს. სწორედ აღნიშნულის მკაფიო გაგების შედეგია საინვესტიციო პროცესების აქტივიზაციის კუთხით ქვეყნის მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯები.

საზღვარგარეთელი ექსპერტების აზრით, საინვესტიციო კლიმატი საქართველოში მთლიანობაში ხელსაყრელია, მაგრამ ამავე დროს არსებობს სერიოზული ბარიერები ფინანსური რისკების, საგადასახადო კანონმდებლობასა და სადაზღვევო სფეროებში არსებული ხარვეზების და ა.შ. სახით, რომლებიც გარკვეულწილად აფერხებენ უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. მეორეს მხრივ, უცხოელი ინვესტორების მხრიდან საქართველო, საქმიანი კლიმატის საბაზო მაჩვენებლების მიხედვით, საკმაოდ მიმზიდველ ბაზრად ითვლება: ქვეყანას გააჩნია საკმარისი საბაზრო პოტენციალი, ასევე ბუნებრივი და შრომითი რესურსების სიჭარბე.

ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში უცხოური კაპიტალის მოზიდვის სტიმულირებისთვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას როგორც საფინანსო – საკრედიტო და საგადასახადო სტიმულები, ასევე არასაფინანსო მეთოდები. ამ უკანასკნელს შეიძლება მივაკუთვნოთ უცხოური კაპიტალის ფუნქციონირებისთვის კეთილსასურველი გარემოს შექმნა, წარმოების აუცილებელი ფაქტორებით – ინფორმაციით, მართვის სამსახურით, ტრანსპორტით, სხვადასხვა სახის კომუნიკაციებით, საბანკო მომსახურებით და საბაზრო ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტებით უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, უცხოური ინვესტიციები, სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა, უცხოური კაპიტალის მოზიდვა, საინვესტიციო კლიმატი, საინვესტიციო აქტივობა, პირდაპირი ინვესტიციები.*

FOREIGN INVESTMENT PROMOTION AND USAGE ISSUES IN GEORGIA

Abstract

Elaboration and realization of the State Investment policy is one of the most important directions in economical reforms for Georgia, as an independent state oriented on the market economy. This fact will promote states economical growth and effectiveness.

Foreign investments will make essential effects on states economical transformation; will improve Georgia's economical distorted structure; will make high teq enterprises; will reform basic funds and many enterprises; will use country's most qualified specialists; will introduce innovations; will fill the local market with national production.

Nowadays, investments are the most realistic levers for the country to overcome the crisis and enter the revival period after a long depression; the fact that government has made the steps towards investment process activation in last period means that the above mentioned was well analyzed and understood by the government.

From the point of view of foreign experts the overall investment climate in Georgia is quite profitable, but there still are serious difficulties in financial risks; some errors in tax code and insurance fields that partially impede the foreign investment inflow. On the other hand Georgia is quite attractive market for the foreign investors depending on the business climate indicator; country has enough market potential, as well as native and labor resources.

In order to promote foreign investments in Georgia's priority spheres, it is advisable to use financial-credit and tax stimulus, as well as non financial methods; for example making a comfortable and goodwill atmosphere for the foreign capital functionary with all the information, management services, transportation; different types of communication; banking services and all the elements of market infrastructure.

Key words: *Georgia; foreign investments, State investment policy, foreign investment promotion; investment climate; investment activity; direct investments.*

შესავალი

საქართველოს, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ეკონომიკური რეფორმების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები და ეკონომიკის ეფექტურობის ამაღლება.

აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად, ასევე ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების უზრუნველსაყოფად მთავრობის მოქმედებების პროგრამის საფუძველზე და დაფინანსების შიდა წყაროების შეზღუდულობის პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უცხოური კაპიტალის მოზიდვა ქვეყნის ეკონომიკაში, ვინაიდან მათი ეფექტური გამოყენება წარმოადგენს საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთსასარგებლო და მომგებიანი ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას.

უცხოური ინვესტიციები არსებით ზეგავლენას მოახდენს ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებაზე – რეალურად გააუმჯობესებს საქართველოს ეკონომიკის დეფორმირებულ სტრუქტურას, შექმნის მაღალტექნოლოგიურ საწარმოებს, მოახდენს ძირითადი ფონდების მოდერნიზებას და ტექნიკურად გადააიარაღებს მრავალ საწარმოს, აქტიურად გამოიყენებს ქვეყნის კვალიფიციური სპეციალისტების პოტენციალს და სამუშაო ძალას, დანერგავს ინოვაციებსა და მოწინავე გამოცდილებას მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროებში, შეავსებს ადგილობრივ ბაზარს

ხარისხიანი სამამულო პროდუქციით და ა.შ.

თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ დღესდღეობით არსებული რთული საინვესტიციო გარემოს და არც თუ ისე სახარბიელო საკანონმდებლო ბაზის, და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ინვესტორი ინვესტიციების ჩადების გადაწყვეტილების მიღებას ან ვერ ახერხებს, ან მაღალი რისკით აწარმოებს. კვლევის მიზანია ვაჩვენოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საინვესტიციო პოლიტიკის სწორად წარმართვა საქართველოს ეკონომიკის ეფექტურობის ამაღლებისთვის. სტატიის კვლევის ამოცანაა ვაჩვენოთ, რომ ეკონომიურ-ორგანიზაციული მეთოდებით შესაძლებელია მენეჯმენტის პროცესის ავტომატიზირება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, რის საშუალებითაც ინვესტორს შეეძლება, ოპტიმალურად დაგეგმოს, აკონტროლოს და მართოს საინვესტიციო პროექტი პირველადი გადაწყვეტილების მიღებიდან განხორციელებული საინვესტიციო პროექტის ექსპლუატაციამდე. კვლევის ორიგინალობა მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომში განხილულია პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ინვესტიციების განხორციელების შედეგად საქართველოს ეკონომიკაზე დადებითი ეფექტის მაქსიმალურ ამოქმედებას. ავტორის წვლილი ამ სფეროში გამოიხატება იმ პრობლემების კვლევაში, რაც ხელს უშლის საქართველოში საინვესტიციო პოლიტიკის წარმართვის ბერკეტების დროულ და რაციონალურ გამოყენებას. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა საქართველოში განხორციელებულ საინვესტიციო პროცესებზე დაკვირვების, შედარებისა და ანალოგიის გატარების მეთოდები.

ინვესტიციები დღეისთვის წარმოადგენენ ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლისა და გაჭიანურებული დეპრესიიდან ეკონომიკური აღორძინებისაკენ გადასვლის ერთ-ერთ რეალურ ბერკეტს. სწორედ აღნიშნულის მკაფიო გაგების შედეგია საინვესტიციო პროცესების აქტივიზაციის კუთხით ქვეყნის მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯები.

დღეისთვის სავსებით ცხადია, რომ უცხოური ინვესტიციების იმპორტი წარმოადგენს ქვეყანაში საინვესტიციო პროცესების გამოცოცხლების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და უსწრაფეს გზას. აღნიშნული განპირობებულია სტრუქტურულ-საინვესტიციო პოლიტიკის გატარებისთვის აუცილებელი სახსრების უკმარისობით ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორებიცაა: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ტრანსპორტი, კომუნიკაციები და ა.შ. [1. გვ. 24–25].

საინვესტიციო პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის უმთავრეს ელემენტს და განისაზღვრება მისი მიზნებითა და ამოცანებით. უცხოური კაპიტალის და ინვესტიციების მოზიდვის სახელმწიფო პოლიტიკა, ეკონომიკური რეფორმების ლოგიკის შესაბამისად, გამომდინარეობს აუცილებლობიდან – მაქსიმალურად შეეწყოს ხელი წარმოების სტრუქტურულ გარდაქმნებს კრიზისისა და ინფლაციის პირობებში, ასევე განვითარდეს საბაზრო ურთიერთობები და მნიშვნელოვნად ამაღლდეს საინვესტიციო აქტივობა სახელმწიფოსა თუ კერძო ინვესტორების მხრიდან.

დღეისთვის ქვეყანაში ძირითადად ფორმირებულია უცხოური კაპიტალის მოზიდვისთვის აუცილებელი ეკონომიკური გარემო და და საგარანტიო სისტემა: მიღებულია და მოქმედებს სამოქალაქო, საბაჟო და საგადასახადო კოდექსები, მიღებულია და უმჯობესდება კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“, მაქსიმალურად ლიბერალური გახდა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტებისთვის მოქმედებს სამთავრობო გარანტიების ინსტიტუტი. სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულია ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების დაბანდებების მთავარი, პრიორიტეტული მიმართულებები [2. გვ. 120–124].

საზღვარგარეთელი ექსპერტების აზრით, საინვესტიციო კლიმატი საქართველოში მთლიანობაში ხელსაყრელია, მაგრამ ამავე დროს არსებობს სერიოზული ბარიერები ფინანსური რისკების, საგადასახადო კანონმდებლობასა და სადაზღვევო სფეროებში არსებული ხარვეზების და ა.შ. სახით, რომლებიც გარკვეულ წილად აფერხებენ უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. მეორეს მხრივ, უცხოელი ინვესტორების მხრიდან საქართველო, საქმიანი კლიმატის საბაზო მაჩვენებლების მიხედვით, საკმაოდ მიმზიდველ ბაზრად ითვლება: ქვეყანას გააჩნია საკმარისი საბაზრო პოტენციალი, ასევე ბუნებრივი და შრომითი რესურსების სიჭარბე.

საინვესტიციო საქმიანობისთვის მიზანმიმართული დინამიური პროცესის ხასიათის მინიჭებისთვის მნიშვნელოვანია მისი კვლავწარმოებითი არსის შეთანაწყობა როგორც ეკონომიკური რეფორმების მიზნებთან, ასევე კვლავწარმოების პროცესების

შესაბამის რეგულატორებსა და ეკონომიკურ წყაროებთან: ფულად-საკრედიტო ურთიერთობებთან, ამორტიზაციის ნორმებთან, ფასიანი ქაღალდების ბაზართან, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინსტრუმენტებთან და ა.შ. აღნიშნული რეგულატორების სისტემა აგებული უნდა იქნას არა თავისი თავის თვითკმარობის პრინციპზე, არამედ პასუხობდეს საინვესტიციო სფეროს მოთხოვნილებების მომსახურების მიზნებს.

უცხოური კაპიტალისა და ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების საფუძველს წარმოადგენს გარკვეული საბაზისო პრინციპები, რომელთა შესრულებაც შეიძლება განხორციელებულ იქნას სხვადასხვა ფორმით, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პირობებისა და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების თავისებურებების მკაცრი გათვალისწინებით. მათგან ძირითადებად შეიძლება მივიჩნიოთ [3. გვ. 115–117]:

– ეკონომიკური უსაფრთხოების პრინციპი. საზღვარგარეთული სახელმწიფო და საბანკო კრედიტების მოზიდვისა და გამოყენების კუთხით აღნიშნული პრინციპი ნიშნავს, რომ უნდა გავითვალისწინოთ ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა საგარეო ვალისა და უარყოფითი სალდოს ზრდა;

– სახელმწიფოს საინვესტიციო მიზნების რეალიზაციის პრინციპი. უცხოური ინვესტიციები უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფო რეგულირებას და მიმართული უნდა იყოს ისეთი მაკროეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაკენ, როგორებიცაა: მშპ-ს ზრდა; საგადამხდელო ბალანსის ოპტიმიზაცია; წარმოებისა და დასაქმების რყევების შერბილება; ფასების სტაბილიზაცია და ინფლაციის შემცირება, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ა.შ. ამავე დროს ამა თუ იმ უცხოური ინვესტიციების მიზანშეწონილობის კრიტერიუმს წარმოადგენს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

– უცხოური კაპიტალის გამოყენების ეტაპობრიობისა და მიმართულების პრიორიტეტულობის პრინციპი. უცხოური კაპიტალის გამოყენების მიმართულებების განვითარება ექვემდებარება დეფიციტური და კრიზისული მდგომარეობიდან მაღალგანვითარებულ დონემდე მისაღწევად ეკონომიკის განვითარების ზოგად ამოცანებს. აღნიშნული განვითარება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) იმპორტის ჩანაცვლება;

ბ) ორიენტაცია ექსპორტზე;

გ) ეკონომიკის შექმნა მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების ბაზაზე;

– კრედიტების გამოყენების დროს საპროექტო მეთოდის გამოყენების პრინციპი. უცხოური ინვესტიციების გამოყენებისა და კონტროლის გაცილებით ეფექტური ორგანიზაციის მიზნით სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს პრიორიტეტული მიმართულებებისა და პროექტების ნუსხა. ამავე დროს დაფინანსების საპროექტო მეთოდი სასურველია წარმოადგენდეს ნებისმიერი დაკრედიტების საფუძველს;

– შიდა დაგროვების ნორმის პროექტის ღირებულებაზე წინსწრების პრინციპი. კრედიტების გამოყენებისგან ეკონომიკური ეფექტი მიღწეული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ექნება მეტი ფინანსური და მატერიალური შესაძლებლობები, ვიდრე კრედიტების ღირებულებაა, რომელსაც დააბრუნებს ძირითადი თანხისა და პროცენტების სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტი იქნება ზარალის მომტანი;

– კონკურენტულობის პრინციპი პროექტების შერჩევის დროს – გულისხმობს, რომ პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით პროექტებს შორის უნდა ჩატარდეს კონკურსი;

– საინვესტიციო კლიმატის ამაღლების პრინციპი. ამასთან დაკავშირებით გასათავისებელია, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გაცილებით უკეთესი პირობებით, ვიდრე მას გთავაზობენ სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ან განვითარებული ქვეყნები, შესაძლებელია მხოლოდ საინვესტიციო რეიტინგის ამაღლებით;

– სტრატეგიულ და პრიორიტეტულ დარგებში უცხოური ინვესტიციების დაშვების შეზღუდულობის პრინციპი. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ნებისმიერმა განვითარებადმა ქვეყანამ, რომელსაც გააჩნია გარკვეული რესურსული ან ეკონომიკური ბაზა, უნდა შეზღუდოს ინვესტორების დაშვება პრიორიტეტულ დარგებშიარა მარტო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნიტ, არამედ მისი ნორმალური გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ქვეყნის საინვესტიციო აქტივობის ასამაღლებლად, აუცილებელია ყველა ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ზემოქმედების ბერკეტების გამოყენება. საინვესტიციო პოლიტიკა წარმოების ეკონომიკურ და ტექნიკურ განვითარებასთან მიმართებაში

იმყოფება ძლიერ დამოკიდებულებაში. განვითარების მიზნობრივი პარამეტრებიდან გამომდინარე, ინვესტიციები შეიძლება მიმართული იქნას ახალი წარმოებების შექმნის, ტექნიკური გადაიარაღების ან არსებულის რეკონსტრუქციის ორგანიზაციაზე.

სტრუქტურული გარდაქმნების განსახორციელებლად საქართველოს ეკონომიკას ესაჭიროება მნიშვნელოვანი უცხოური ინვესტიციები. ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის პირველ რგოლს, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს ინფრასტრუქტურა. საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება უშუალოდ ზემოქმედებს წარმოების ზრდაზე. სწორედ ამჟამადაა ხელსაყრელი ინვესტიციების სტიმულირება წარმოების სფეროს განვითარებაში, და მაშინ ინვესტიციები, რომლებიც გამოიყენება მიმოქცევის სფეროში იმპორტული პროდუქციის ყიდვა-გაყიდვაში, შემცირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გააჩნია უზარმაზარი საგარეო ვალი, რომლის მომსახურებაც მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის ეკონომიკას. მომავალში, საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი ინვესტიციების სტიმულირებასდა წარმოების სფეროს განვითარებას. ამისთვის აუცილებელია საფონდო ბაზრის საქმიანობის აქტივიზაცია. ინვესტიციები მიმოქცევის სფეროდან უნდა გადავიდნენ წარმოების სფეროში, რაც იძლევა ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და უმუშევრობის დონის შემცირების საშუალებას.

განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები. თუ 2011 და 2012 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 14,9 და 19,1 მლნ აშშ დოლარი შესაბამისად, 2015 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა 28,8 მლნ აშშ დოლარამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი ინვესტორები ნაკლებად არიან დაინტერესებული, დააბანდონ თავიანთი კაპიტალი მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარებაში, ვინაიდან კაპიტალის ბრუნვისთვის მათ ესაჭიროებათ გაცილებით მეტი დრო, ვიდრე მიმოქცევის სფეროში. კერძო ინვესტორები ინტერესს იჩენენ რესტორნების, ბენზინგასამართი სადგურებისა და სხვა ისეთი ობიექტების მშენებლობების მიმართ, რომლებიც მოკლევადიან პერსპექტივაში იძლევიან მნიშვნელოვან შემოსავლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო რეგულირების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ინვესტიციები მიმართოს იმ სფეროებში, რომლებიც ხელს უწყობენ სამამულო წარმოების გამოცოცხლებას, არ უნდა დაუშვას მათი ანგარებით გამოყენება.

ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინვესტიციების რაციონალური გამოყენება მოითხოვს [4. გვ.246–248]:

– სამამულო პროდუქციის გამოცოცხლების მიზნით პროტექციონისტული ღონისძიებების გატარებას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს უცხოური საქონლის იმპორტს;

– შესაბამისი მექანიზმების შემუშავებას ეროვნული ბიზნესის თავისუფალი სახსრების სამამულო წარმოებაში დაბანდების წახალისების მიზნით;

– დაბეგვრის სისტემის გადახედვას იმ კუთხით, რომ ის მუშაობდეს სამამულო კაპიტალის წარმოების სფეროში მოზიდვაზე შესაბამისი პირობების შექმნით გარკვეული შეღავათების დაწესების გზით;

– შიდა ბაზრის განვითარების უზრუნველყოფას სამამულო პროდუქციის წარმოების ზრდის ხარჯზე.

ქვეყანაში შესაბამისი საინვესტიციო კლიმატის შექმნა წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ამ კუთხით საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ერთ-ერთ მიმზიდველ და წარმატებულ ქვეყანად ითვლება ინვესტიციების დაბანდების თვალსაზრისით. მიუხედავად გლობალური ფინანსური რყევებისა და საშინაო სირთულეებისა, ქვეყნის ეკონომიკა მიდის შემდგომი რეფორმირებებისა დ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების გზით.

ინვესტიციების ძიების პროცესში საქართველომ უნდა აამაღლოს ქვეყნის ბაზრის მიმზიდველობა, მათ შორის თანამედროვე საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნით, ეკონომიკის რიგ დარგებში დანახარჯების სტრუქტურაში სატრანსპორტო შემადგენელის შემცირებით, საგარეო ბაზრებზე სამამულო მეწარმეების კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ნაკადების გავლის გზით და ა.შ.

ბოლო წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკაში არსებობდა გარკვეული ხარვეზები, არ არსებობდა უცხოური კაპიტალის დაბანდების სტიმულირების ქმედითი მექანიზმი, რომელიც ადეკვატური იქნებოდა საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის მოთხოვნებისა და ამოცანების მიმართ. აღნიშნული ეხება როგორც

უცხოური ინვესტიციების მოცულობების შეფასების მეთოდოლოგიასა და მეთოდიკას, უცხოური კაპიტალის მოზიდვის ფორმებსა და დასაშვებ მასშტაბებს, ასევე უცხოური კაპიტალის მოზიდვის ორგანიზაციულ და ეკონომიკურ მექანიზმებს, ინვესტიციების რეგიონალურ და დარგობრივ განაწილებას.

საბაზრო ურთიერთობების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკის გარდაქმნაში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის გაცილებით მისაღები ფორმაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალებით ერთობლივი საწარმოების ან საზღვარგარეთული საწარმოების შექმნა პორტფელური ინვესტიციების ან კონცესიის პირობებით.

დღეისთვის და პერსპექტივაშიც უპირატესობა ენიჭება პირდაპირ ინვესტიციებს, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი უპირატესობები ეკონომიკური ზემოქმედების სხვა ფორმებთან შედარებით[5. გვ.345–348]:

– წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების წარმოებაში კაპიტალდაბანდების პირდაპირ წყაროს, უზრუნველყოფს უახლესი მსოფლიო ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს მოზიდვას, ასევე მენეჯმენტისა და მარკეტინგის უახლესი მეთოდების დანერგვას;

– მძიმე ტვირთად არ აწვება ქვეყნის საგარეო ვალს;

– მრავალფეროვანი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკაში, ასევე ამაღლებს საქმიან და სამეურნეო აქტივობას.

უცხოური სამეწარმეო კაპიტალის პირდაპირ ინვესტირებას საქართველოს ეკონომიკაში უცხოურ კრედიტებთან შედარებით გარკვეული უპირატესობები გააჩნია. უცხოური სამეწარმეო კაპიტალის მოზიდვა ასევე წარმოადგენს კონკურენციის განვითარების აქტიურ საშუალებას. მისი დახმარებით სახელმწიფოს შეუძლია არა მარტო მიიღოს დამატებითი საინვესტიციო რესურსი, არამედ მისი დახმარებით გამოაცოცხლოს და აამაღლოს ეროვნული საწარმოო ძალების გამოყენების ეფექტურობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მისი გონივრულად გამოყენების შემთხვევაში, ხელს უწყობენ ექსპორტის დივერსიფიკაციას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, უცხოური კრედიტებისგან განსხვავებით არ ზრდიან ქვეყნის საგარეო ვალს და აქედან გამომდინარე, ამცირებენ საზღვარგარეთ ვალუტის გაჟონვას.

ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში უცხოური კაპიტალის მოზიდვის სტიმულირებისთვის მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნას როგორც საფინანსო-საკრედიტო და საგადასახადო სტიმულები, ასევე არასაფინანსო მეთოდები. ამ უკანასკნელს შეიძლება მივაკუთვნოთ უცხოური კაპიტალის ფუნქციონირებისთვის კეთილსასურველი გარემოს შექმნა, წარმოების აუცილებელი ფაქტორებით – ინფორმაციით, მართვის სამსახურით, ტრანსპორტით, სხვადასხვა სახის კომუნიკაციებით, საბანკო მომსახურებით და საბაზრო ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტებით უზრუნველყოფა.

ცხადია, რომ საგადასახადო და საფინანსო -საკრედიტო შეღავათების გაწევა უნდა ხორციელდებოდეს არა ავტომატურად, არამედ დიფერენცირებულად: განსახორციელებელი პროექტის სახელმწიფო მნიშვნელობის გათვალისწინებით, საწარმოს საწესდებო ფონდში მისი წილის შესაბამისად, თუ რა სფეროშია დაბანდებული კაპიტალი და ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას კაპიტალის ბრუნვის სისწრაფე.

დასკვნა

საქართველოს მთავრობის მისწრაფება, მოახდინოს სამამულო და უცხოური ინვესტიციების ქვეყნის ეკონომიკაში დაბანდების სტიმულირება, წარმოადგენს საკანონმდებლო, ნორმატიული და პროგრამული დოკუმენტაციებისგან შემდგარი ჯაჭვის მნიშვნელოვან რგოლს, რომელიც მიმართულია ქვეყანაში საინვესტიციო აქტივობის გაღრმავებისკენ. უცხოური კაპიტალისა და ინვესტიციების მნიშვნელობა მოითხოვს, რომ აღნიშნული მისწრაფება უნდა ფუნქციონირებდეს რეფორმების შემდგომი გაღრმავების სამთავრობო პროგრამასთან შეთანხმებით.

ცხადია, რომ ეკონომიკური რეფორმების პირობებში საინვესტიციო პოლიტიკის გატარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს. დღეისთვის საინვესტიციო აქტივობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში განსხვავებულია. განსხვავებები გამოწვეულია რეგიონების გეოგრაფიული მდებარეობით, ინფრასტრუქტურის განვითარების დონით, თვით ხელისუფლების ორგანოებით და ა.შ. ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო სფეროში საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის შექმნასა და მის დახვეწას, აუცილებელი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებას,

რომელთაც უპირველესად მიეკუთვნება:

– საფინანსო, სავალუტო და საგადასახადო კანონმდებლობის სტაბილურობა ინვესტიციების სატარიფო და არასატარიფო რეგულირებასთან მიმართებაში;

– საკანონმდებლო ნორმებში გათვალისწინებული შესატანი ცვლილებების შესახებ მეწარმეების წინასწარი ინფორმირებულობა;

– ისეთი პროცედურებისა და მექანიზმების შემუშავება, რომლებიც დაიცავენ ინვესტორებს მართვის ორგანოების არამართლზომიერი ქმედებებისგან.

ლიტერატურა:

1. ნ.სამსონია, მ.ლომსაძე, მ.თოფურია. საინვესტიციო პროექტის დაგეგმვის მეთოდოლოგიური ასპექტები. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ენერგია“, 2(50), ნაწ. 2, 2009, გვ. 25–31 (Samsonia N. Lomsadze M. Tophuria M. ,,Methodological aspects of planning the investment project'' – Scientific-Practical Journal ,,Energy'' 2(50), Part 2, 2009, pp:25-31).

2. რ. მახვილაძე, კ. მახვილაძე, ჯ. ჩოგოვაძე და სხვ. ინვესტიციების თეორია და ანალიზი. რედ.: გ. ლაღუნდარიძე, დ. პაპავა. სტუ, თბილისი, 2005, სტუ-ს სტამბა, გვ. 325 (Makhviladze R. Chogovadze J. and others ,,The theory and analysis of investments''. Ed: Laghundaridze G. Papava D. GTU, Tbilisi 2005, GTU Print, p:325).

3. კიკნაძე ნ. ინვესტიციების მართვა სამეწარმეო ინოვაციურ პროცესებში, 2008, გვ.263 (Kiknadze N. ,,Investment management in the innovative processes of business'', 2008, პ:263).

4. ე.ბარათაშვილი, რ.ქუთათელაძე, ლ.გვაჯაია, გ.ყურაშვილი; „საინვესტიციო მენეჯმენტი“, თბ. 2011, გვ. 356 (Baratashvili E. Qutateladze R. gvajaia L. Kurashvili G. ,,Investment management'', თბილისი 2011, პ:356).

5. ქოქიაური ლ., ინვესტიციების ბაზარი, თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა, თბ., 2001, გვ. 535 (Qoqiauri L. ,,Market, theory, politics, practices of investment'', თბილისი 2001, პ:535).